საქართველოს მთავრობის

დადგენილება №474

2023 წლის 6 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებაში (სსმ, №49, 28/04/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-10 მუხლს 1^{10} პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^{11} პუნქტი:

„1^{11}. ოჯახის შემოსავლებში არ გაითვალისწინება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ მოსწავლეზე ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტზე სახელმწიფოსაგან ან/და ზოგადსაგანმანათლებლო ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან ან/და სხვა წყაროდან გაცემული სტიპენდია.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**